საქართველოს
სახალხო დამცველი

სპეციალური ანგარიში

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

სექტემბერი, 2017

www.ombudsman.ge

დოკუმენტი შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-7 მუხლის შესაბამისად

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
სახალხო დამცველი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

თავი I. შესავალი 5

თავი II. სტატისტიკური მონაცემები 8

წარმოებაში არსებული საქმეები 8

წარმომადგენლობა სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოებისას 11

თავი III. თანასწორობის მდგომარეობა ქვეყანაში 12

1. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია 12

რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაზე 12

სექსუალური შევიწროება 13

დისკრიმინაცია ორსულობის ნიშნით 14

დისკრიმინაციის წამახალისებელი რეკლამები და განცხადებები 15

სასამართლოს სტატისტიკის არარსებობა 16

2. შეზღუდული შესაძლებლობა 17

ინკლუზიური განათლება 17

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა 19

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სოციალური პაკეტით სარგებლობა 19

მხარდაჭერის მიღების პრაქტიკა 20

3. რელიგია 22

საჯარო სკოლებში არსებული ვითარება 22

ქობულეთის პანსიონის საქმე 24

მუსლიმების მიერ საზღვრის კვეთა 24

4. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა 26

5. დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში 27

ვაკანსიის შესახებ განცხადებები 27

შრომითი უფლებები სკოლებში, ბაღებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 29

დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში განსხვავებული მოსაზრების საფუძველზე ..30

6. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება 31

7. დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები 33

თავი IV. ხარვეზები საქართველოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში 35

თავი V. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების ტენდენცია 37

თავი VI. დასკვნა 46

თავი I. შესავალი

წინამდებარე სპეციალური ანგარიში მომზადებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „ანტიდისკრიმინაციული კანონი“) მე-7 მუხლის საფუძველზე და მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, როგორც დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველი ინსტიტუტის **2016 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე** ქვეყანაში თანასწორობის მდგომარეობის შეფასებას.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებამ აიღო დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის შექმნის ვალდებულება. 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს სთავაზობს თანასწორობის უფლების სამართლებრივი დაცვის მექანიზმს როგორც საჯარო, ასევე კერძო პირების წინააღმდეგ.

ანტიდისკრიმინაცული კანონის საფუძველზე, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭა. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, 2014 წლის 22 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის N140 ბრძანების საფუძველზე, აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი. დეპარტამენტმა ფუნქციონირება დაიწყო 2014 წლის 20 ნოემბერს.

2016 წლის ოქტომბრიდან სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს ევროკავშირის პროექტს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა საქართველოში“, რომელიც მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს სახალხო დამცველისთვის, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მოქმედების განმავლობაში, სახალხო დამცველმა განიხილა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული 400-ზე მეტი საქმე, რომლებიც მრავალფეროვანია როგორც დაცული ნიშნების, ასევე იმ სფეროების მხრივ, რომელშიც სავარაუდო დისკრიმინაციის/დისკრიმინაციის ხელშეწყობის ფაქტს ჰქონდა ადგილი.

კანონის ამოქმედებიდან სამი წლის შემდეგ, შესაძლებელია იმ პრობლემური საკითხების გამოკვეთა, რომელიც ქვეყანაში თანასწორობის მიმართულებით არსებობს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებითი თანასწორობა გარანტირებული არ არის - სახელმწიფო პოლიტიკა თუ გარემო არ არის ორიენტირებული ცალკეული დაუცველი ჯგუფებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. ამასთან, ქვეყანაში კვლავ კრიტიკულია ზოგიერთი დაუცველი ჯგუფის თანასწორობის მდგომარეობა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ასევე არ ვხვდებით თანასწო-

რობის მხარდამჭერ განცხადებებს. ამას გარდა, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2015 და 2016 წლების სპეციალურ ანგარიშებშია აღნიშნული, საკანონმდებლო დონეზე კვლავ რჩება ხარვეზები, რომელიც თანასწორობის უფლების სრულყოფილ დაცვას აფერხებს. ამ დროის განმავლობაში, არ არის წინსვლა სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის 2015 წელს წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, რომლის ინიცირება პარლამენტმა იმავე წელს მოახდინა.

სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ყველაზე დაუცველ ჯგუფებს შორის კვლავ არიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის, ბავშვები), ლგბტ თემი და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. ამასთან, დისკრიმინაციის თუ დისკრიმინაციის წახალისების ფაქტები, ძირითადად, განათლების, დასაქმების და მომსახურების სფეროში გვხვდება.

დღეს კვლავ გამოწვევად რჩება სამართალდამცავთა მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირება, მნიშვნელოვან პრობლემად საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა სექსუალური შევიწროებისა და ორსული ქალებისთვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის ფაქტები.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ისინი იმ დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთა სპეციფიური საჭიროებები სოციალური ცხოვრების თითქმის არც ერთ სფეროში არ არის სრულყოფილად გათვალისწინებული. მათ საჭიროებებზე არ არის მორგებული არც ინკლუზიური განათლების პროცესი და არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის უმრავლესობა. არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებებზე. ასევე, დისკრიმინაციულია საერთო სასამართლოების და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მხარდამჭერის ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა.

თანასწორობის უფლების დარღვევის შემთხვევები ასევე გვხვდება რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, ზოგიერთ საჯარო სკოლაში ადგილი აქვს მუსლიმი მოსწავლეების ინდოქტრინაციის ფაქტებს. მუსლიმი თემი ასევე აწყდება დაბრკოლებას საზღვრის კვეთისას როდესაც მათ აყოვნებენ საზღვარზე და რელიგიური დანიშნულების ლიტერატურის დათმობას აიძულებენ.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) ნიშნით დისკრიმინაციას განმცხადებლები, ძირითადად, მომსახურების მიღებისას აწყდებიან. ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, როგორც წესი, საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სტერეოტიპებით და მცდარი ინფორმაციით არის განპირობებული.

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც, სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამომდინარე, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს ყველაზე ხშირად აქვს ადგილი, წინასახელშეკრულებო და შრომითი ურთიერთობებია. პირველ რიგში, აღსანიშნავია ვაკანსიის შესახებ განცხადებები, რომლებიც დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს შეიცავს და რომელთა გავრცელებით, დასაქმების ვებ-გვერდები შრომით ბაზარზე დისკრიმინაციის წახალისებას უწყობს ხელს. ასევე, სახალხო დამცვე-

ლის წარმოებაში არსებული საქმეების დიდი ნაწილი ეხება საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების პოლიტიკური და განსხვავებული მოსაზრების გამო სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. მსგავსი დანაშაულების სავარაუდო მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები და ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სახალხო დამცველისთვის არ არის ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომლითაც საგამოძიებო ორგანოები მსგავსი დანაშაულების გამოძიებისას ხელმძღვანელობენ; ბუნდოვანია, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ტარდება სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო საჯარო პირების მიერ სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელება, რომელთა ავტორებიც, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევების თანახმად, ძირითადად, პარლამენტის წევრები არიან.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, ქვეყანაში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა, სახალხო დამცველის როგორც თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის ინსტიტუტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საკითხი, საკანონმდებლო ხარვეზები და სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების ტენდენცია.

თავი II. სტატისტიკური მონაცემები

წარმოებაში არსებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული 201 ახალი საქმის შესწავლა დაიწყო, მაშინ როდესაც წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული საქმეების რაოდენობამ 113 შეადგინა. ამასთან, 10 შემთხვევაში დადგინდა დისკრიმინაციის ფაქტი და გამოიცა შესაბამისი რეკომენდაცია, 8 შემთხვევაში სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის ხელშეწყობას და ზოგადი წინადადება შეიმუშავა, 3 საქმეზე კი სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოებში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

ამჟამად სახალხო დამცველი დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ 135 საქმეს შეისწავლის. საანგარიშო პერიოდში საქმის წარმოება შეწყდა 99 საქმეზე. ერთი განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი, ცხრა საქმის წარმოება კი შეჩერდა, ვინაიდან განმცხადებლებმა სასამართლოს მიმართეს. საანგარიშო პერიოდში თანასწორობის დეპარტამენტმა საქმის შესწავლის პროცესში ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, 579 წერილი გაგზავნა. თანასწორობის საკითხებზე გაკეთდა რვა საჯარო განცხადება.[1]

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი განსხვავებული მოსაზრების (12%), სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის (11%), რელიგიის (10%) და პოლიტიკური შეხედულების (9%) საფუძვლით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს ეხება. ასევე აქტუალურია მომართვიანობა შეზღუდული შესაძლებლობის (9%), ეთნიკური წარმომავლობის (7%), სქესის (6%), ასაკის (4%) და მოქალაქეობის (4%) ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. შემოსული განცხადებების 13%-ში მითითებულია „სხვა ნიშანი“, განცხადებების 13%-ში კი დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველი არ გამოიკვეთა.

1 იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-transgenderi-qalis-mimart-dzaladobis-faqttan-dakavshirebit.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-miichnevs-rom-gadacema-kacebis-dros-promo-genderuli-stereotipebis-gamyarebas-uwyobs-xels.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-shshm-adamianebis-mimart-diskriminaciuli-stereotipebis-xelshewyobis-faqttan-dakavshirebit.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-zestafonis-municipalitetis-motxovnas-sqesis-nishnit-diskriminaciad-miichnevs.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-shefasebit-bordjomis-municipalitetis-axaldaqorwinebulta-programa-diskriminaciulia.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-sazogadoebrivi-mauwyeblidan-jurnalistis-gatavisuflebas-exmianeba.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-autizmis-speqtris-mqone-adamianebis-mimart-gamotqmul-sheuracxmyofel-gamonatqvamebs-exmianeba.page; http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvels-teatraluri-universitetis-mier-abiturientebistvis-dawesebuli-motxovna-diskriminaciulad-miachnia.page;

დისკრიმინაციის ნიშანი

საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 201 განცხადება



აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით დინამიკა შეცვლილია. წინა წელს თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი პოლიტიკური ან სხვა შეხედულების (18%), რელიგიის (17%) და ეროვნული/ეთნიკური (14%) საფუძვლით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებს ეხებოდა. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო განცხადებების, რომელიც დაკავშირებული იყო სქესის (10%) ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან. სხვა ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ კი განმცხადებელთა 8% დავობდა. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდში, მიმდინარესთან შედარებით, დაბალი იყო მომართვიანობა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის (8%) და შეზღუდული შესაძლებლობის (7%) ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით.

შედარება წინა საანგარიშო პერიოდთან



ამასთან, თუ წინა საანგარიშო პერიოდში სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენთა 55% საჯარო სექტორს, 45% კი კერძო პირებს წარმოადგენდა, წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიცვალა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო პირების წინააღმდეგ დავა საქმეთა 73%-ის შემთხვევაში მიმდინარეობდა, კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კი განმცხადებლების 27% ედავება

დისკრიმინაციის ჩადენის სფერო



წარმომადგენლობა სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოებისას

სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოებისას განმცხადებელს შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი, რომელიც აპარატის მიერ საქმის შესწავლის პროცესში მის სამართლებრივ ინტერესებს წარმოადგენს. წარმომადგენელი შეიძლება საქმის წარმოებაში ჩაერთოს როგორც სახალხო დამცველისთვის განცხადებით მიმართვისას, ასევე საქმის შესწავლის შემდგომ ეტაპზე. წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს სახალხო დამცველს წერილობით წარუდგინოს სამართლებრივი დასაბუთება, მიუთითოს შესაბამისი სამართლებრივი წყაროები, რომელიც მას საქმის განხილვისას რელევანტურად მიაჩნია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული დისკრიმინაციასთან დაკავშირებული განცხადებების ავტორთა 24%–ს ჰყავს წარმომადგენელი, საიდანაც 16% თანასწორობის კოალიციის[2] წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან.



2 თანასწორობის კოალიციის წევრები არიან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საფარი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „იდენტობა“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“

თავი III. თანასწორობის მდგომარეობა ქვეყანაში

წინამდებარე თავში, სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების, მიღებული გადაწყვეტილებების და საერთო სასამართლოებში წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების ფონზე, განხილული იქნება ქვეყანაში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა. ძირითადი ყურადღება გამახვილდება იმ დაცულ ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც ყველაზე ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას.

1. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია

სქესის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. დისკრიმინაციულ ფონს აძლიერებს სამართალდამცავთა მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირების ნაკლებობა. დისკრიმინაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა შევიწროება/სექსუალური შევიწროება, კვლავ რჩება ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებულ და ამავე დროს, დაფარულ პრობლემად. შევიწროების მსხვერპლნი, როგორც წესი, ქალები ხდებიან. ამასთან, ორსულთა დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც პრობლემურია. სექსისტური ხასიათის რეკლამების გავრცელება, რომლებიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელია, საანგარიშო პერიოდშიც მიიჩნეოდა პროდუქციის წარმატებულად გაყიდვის იოლ გზად.

რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაზე

ქალთა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ერთ-ერთ მასშტაბურ პრობლემად რჩება. ძალადობის მსხვერპლი ქალები ხშირად ექვემდებარებიან დისკრიმინაციას, რამდენადაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში თუ მის გარეთ მომხდარ ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავები სათანადოდ არ რეაგირებენ. როგორც სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული შემთხვევებიდან გამოიკვეთა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, ზოგ შემთხვევაში, არ ხდება სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვა, ასევე, არის შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი რეაგირება ფერხდება იმ ფაქტებზე, სადაც სავარაუდო მოძალადე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელია.

სექსუალური შევიწროება

სექსუალური შევიწროება შევიწროების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და სპეციფიური ფორმაა, რომელიც ქართულ რეალობაში დაფარულ ფენომენს წარმოადგეს.

საანგარიშო პერიოდში როგორც სახალხო დამცველისადმი, ასევე სასამართლოსადმი მიმართვიანობა სავარაუდო შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით უკიდურესად დაბალი იყო. საქმეთა სიმწირეს არაერთი ფაქტორი განაპირობებს - ქვეყანაში დღემდე არსებობს გენდერული სტერეოტიპები, რომლის თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა გარემოში არასასურველი მოპყრობის გამომწვევი თავად ქალია. შესაბამისად, მსხვერპლს აქვს მოლოდინი, რომ კაცის მხრიდან შევიწროების შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა ის საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ. ამასთან, მეტწილად, მსხვერპლმა არ იცის ვის მიმართოს, რომ მისი ნათქვამი სერიოზულად აღიქვან. გარდა ამისა, ძალიან ხშირად, მსხვერპლი მიიჩნევს, რომ მისი მდგომარეობა შესაძლოა საკმარისად სერიოზული არ იყოს იმისათვის, რომ სხვას გაუზიაროს და ზოგჯერ იმასაც კი თვლის, რომ შესაძლოა მან თავადვე მოახდინა შემავიწროებლის პროვოცირება და ითმენს შეურაცხყოფას.

სამწუხაროდ, სექსუალური შევიწროება, როგორც სამუშაოს შესრულებისას, ისე საჯარო სივრცეში, საკანონმდებლო რეგულირების მიღმაა დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება, დააწესოს სისხლისსამართლებრივი ან სხვა სანქცია სექსუალური შევიწროების შემთხვევაში და აღნიშნული ქმედება დასჯადი გახადოს. სახალხო დამცველმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ სექსუალური შევიწროების შესახებ ქმედითი ჩანაწერის გაჩენის აუცილებლობას არაერთხელ გაუსვა ხაზი.[3] აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, სახალხო დამცველი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განვითარებულ სტანდარტებს ეყრდნობა.

საანგარიშო პერიოდში, სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა პირველად გამოსცა რეკომენდაცია, ასევე წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. ორივე საქმე შეეხებოდა სამუშაო ადგილზე ხელმძღვანელი პირის მხრიდან დაქვემდებარებაში მყოფი ქალის მიმართ სექსუალურ შევიწროებას.

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი დავობდა, რომ საჯარო უწყებაში მისი ხელმძღვანელი პირისაგან დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა უწევდა და

3 სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 17-18, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf; ასევე, სახალხო დამცველის 2017 წლის 28 მარტის წინადადება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-winadadeba-seqsualur-sheviwroebastan-dakavshirebit.page

ყოველივეს ითმენდა, ვინაიდან არ სურდა სიტუაციის გამწვავება. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პირი მას მიმართავდა ისეთი ფამილარული ტერმინებით, რაც მიუღებელია სამუშაო გარემოში და წარმოადგენს უპირატესობის დემონსტრირებას სუბორდინირებულ მდგომარეობაში მყოფი პირისადმი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელი არ აცხადებდა მოპასუხის შეურაცხყოფისა და დამამცირებელი დამოკიდებულების შესახებ, თუმცა, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შიში და დაძაბულობის თავიდან აცილება წარმოადგენდა იმ ძირითად მიზეზებს, რის გამოც განმცხადებელი ხელმძღვანელის დამოკიდებულებას ითმენდა.

აღსანიშნავია, რომ შევიწროების შემთხვევები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობით, შესაბამისად, რთულდება მოწმეების განმარტების ან/და მატერიალური მტკიცებულებების მოპოვება. ზემოაღნიშნული საქმის შესწავლისას, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა მხარეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სექსუალური შევიწროება აღიქმება, როგორც კონკრეტული ხასიათის მომსახურების ან ფიზიკური კონტაქტის არსებობა განხორციელებულ ქმედებაში და ყურადღების მიღმა რჩება სექსუალური შევიწროების ვერბალური ფორმა. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ურთიერთობები სხვადასხვაგვარად აღიქმება ამა თუ იმ კულტურულ/სოციალურ კონტექსტში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლისთვის ქმედების არასასურველობასა და მსხვერპლის მიერ მის აღქმას.

ამდენად, სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აღქმებსა და საკარაუდო მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას დამატებით აუარესებს საკანონმდებლო ვაკუუმი და ეფექტური მექანიზმის არარსებობა. შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების მსხვერპლი მოკლებულია შესაძლებლობას, ეფექტურად დაცვას თავი სამუშაო ადგილზე ან სხვა სიტუაციაში შევიწროებისაგან. ამასთანავე, პრობლემას წარმოდგენს სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე.

რაც შეეხება თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ მეორე საქმეს, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება[4], რომელშიც მიმოხილულია სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის სპეციფიკა და სხვა ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა. სასამართლო მეგობრის წარდგენა განპირობებული იყო, ერთი მხრივ, საკითხის მნიშვნელობით, მეორე მხრივ კი, საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებითა და სასამართლოს პრაქტიკის არარსებობით.

დისკრიმინაცია ორსულობის ნიშნით

როგორც თანასწორობის დეპარტამენტის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, ორსული ქალები სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლ ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ. ორსულობის დროს გაუმართლებელი, განსხვავებული მოპყრობა ქალთა

4 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4672.pdf

მიმართ დისკრიმინაციის სპეციფიური ფორმაა, როდესაც ქალს ორსულობის გამო ხელი ეშლება სხვადასხვა უფლებით სარგებლობაში. სახალხო დამცველმა ორსულობა დამოუკიდებელ, დაცულ საფუძვლად გამოყო და ამ ნიშნის მიხედვით დადგენილი პირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ საანგარიშო პერიოდში გამოსცა ორი რეკომენდაცია, რომლითაც მიმართა კომპანიებს: შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას „კრედო"[5] და შპს „ახალი მზერას".[6] რეკომენდაციები ეხებოდა: სამსახურიდან დისკრიმინაციული მოტივით გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენას და საქმიანობის თანასწორობის პრინციპის საფუძველზე წარმართვას. ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის ორივე შემთხვევა განხორციელდა დამსაქმებელთა მიერ, რომლებმაც, განმცხადებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, სხვადასხვა ფორმალური მიზეზით, შრომითი ურთიერთობა აღარ გააგრძელეს. ამასთან, მსგავსი განცხადებით სახალხო დამცველს მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მომართეს.

დისკრიმინაციის წამახალისებელი რეკლამები და განცხადებები

როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი რეკლამების გავრცელება კერძო კომპანიების მხრიდან პროდუქტის წარმატებულად გაყიდვის ერთ-ერთ საშუალებად ითვლება.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ორი ზოგადი წინადადება გამოსცა კერძო კომპანიების მიმართ, რადგან მიიჩნია, რომ მათ მიერ გავრცელებული რეკლამები და განცხადებები აძლიერებდა ქალთა მიმართ არსებულ სტერეოტიპებს. რამდენმე მსგავსი განცხადება კი შესწავლის პროცესშია. მაგალითად, ტელეკომპანია „ტაბულას"[7] მიერ გავრცელებული პრომო რეკლამით ქალს მინიჭებული ჰქონდა დეკორატიული როლი და შიშველი სხეულის წარმოჩენით მისი ობიექტივიზაცია ხდებოდა. მეორე შემთხვევაში „ვაკის აუზზე" გამოკრული იყო განცხადება: „ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია". სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოკრული წარწერა ხელს უწყობდა გენდერულ სტერეოტიპებს, ვინაიდან მენსტრუალური ციკლი არის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი.[8] სახალხო დამცველის პრაქტიკაში ასევე იყო საჩივარი, რომლის თანახმად, ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში გამოკრული განცხადების მიხედვით, მამაკაც პაციენტებს შეეძლოთ რიგის გარეშე ესარგებლათ მომსახურებით. სახალხო დამცველის რეაგირების შემდეგ, მოპასუხე კლინიკამ სადავო განცხადება ჩამოხსნა.

5 იხილეთ სრული ვერსია:<http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-kerdzo-kompanias-orsulobis-nishnit-shromit-urtiertobebshi-diskriminaciis-agmofxvris-shesaxeb-mimarta.page >

6 იხილეთ სრული ვერსია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3877.pdf>

7 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4008.pdf

8 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4051.pdf

როგორც წესი, საჯარო სივრცეში რეკლამის გავრცელებასთან დაკავშირებული შენიშვნებისას, მოპასუხე მხარე გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებს. შესაბამისად, სახალხო დამცველი სავარაუდოდ დისკრიმინაციული რეკლამების შესწავლის დროს ყურადღებით განიხილავს ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების საკითხს და მეორე მხრივ, მის გავლენას სხვა პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე. კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირების ინტერესს პროდუქტის გაყიდვა და რეკლამის მეშვეობით მისი პოპულარიზაცია წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულით არ მოხდეს კონკრეტული ჯგუფების სტიგმატიზაცია ან/და მათ მიმართ სტერეოტიპული შეხედულებების ჩამოყალიბება და გამყარება. სტერეოტიპები, რომელიც სექსისტური რეკლამების გავლენით ყალიბდება, ამართლებს გენდერულ დისკრიმინაციას და ამასთან, აძლიერებს და ამყარებს დისკრიმინაციის ისტორიულად დამკვიდრებულ ფორმებს.

სასამართლოს სტატისტიკის არარსებობა

სახალხო დამცველის პრაქტიკით გამოვლინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მკვლევარებს დაბრკოლება ექმნებათ ქალთა შევიწროების და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის სხვა ფორმებთან დაკავშირებული კვლევითი სამუშაოს შესრულებისას, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის ფორმულირებული იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მხარეთა, მოწმეთა და მესამე პირთა სქესის იდენტიფიცირება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა ზოგადი წინადადებით, სქესის ნიშნით ან სხვა სახის დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დაიწეროს ისეთი ფორმით, რომ დაშტრიხვის შემდეგ შესაძლებელი იყოს საქმესთან დაკავშირებულ პირთა შესახებ დისკრიმინაციისგან დაცული იმ ნიშნების (მაგალითად, სქესი, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია და ა. შ.) იდენტიფიცირება, რომელიც დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენისთვის არის მნიშვნელოვანი.

ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სქესით ან/და დისკრიმინაციისგან დაცული სხვა საფუძვლით დივერსიფიცირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა მკვლევარს უზღუდავს შესაძლებლობას, შეისწავლოს დისკრიმინაციის საქმეების შესახებ სასამართლოში არსებული პრაქტიკა. დამოუკიდებელ მკვლევარებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ქვეყანაში თანასწორობის შესახებ მდგომარეობის შეფასებისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილებისთვის უმნიშვნელოვანესია სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, რასაც ითვალისწინებს კიდეც მკვლევარებისა და უფლებადამცველების საქმიანობა. ამდენად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, მკვლევარი უფლებამოსილი ორგანოებისგან ფლობდეს რეალურ ინფორმაციას.

ზოგადი წინადადებით სახალხო დამცველმა მოპასუხეებს ასევე მოუწოდა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინ-ფორმაცია დამუშავდეს დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნისა და საქმის განხ-ილვის შედეგის მითითებით. ამასთან ერთად, უნდა აღირიცხოს დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირებული სარჩელები და გადაწყვეტილებები. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ასევე ეთხოვა, აღნიშნული სტანდარტი გაავრცელოს სამივე ინსტანციის სასამართლოზე.

2. შეზღუდული შესაძლებლობა

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციის ფაქტებს სხვადასხვა სფეროში. პრობლემურია, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ინკლუზიური განათლების და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგე-ბლობის უფლების რეალიზაცია. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, დღის ცენტრმა მძიმე გონებრივი ჩამორჩენის ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვისთვის მომსახურების მიწოდება შეწყვიტა. სარჩელის მიხედვით, ბავშვი დღის ცენტრიდან მას შემდეგ ამორიცხეს, რაც მისი მდგო-მარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მსგავსი მდგომარეობის მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებს არც ერთი სოციალური პროგრამა არ ითვალ-ისწინებს. აღნიშნულის გამო, ბავშვი ბინაზე მოვლის პროგრამაში ჩაერთო. რო-გორც სარჩელშია აღნიშნული, ეს პროგრამა ბავშვს ვერ ეხმარება განვითარება-ში, ვინაიდან მას ფაქტობრივად შეეზღუდა სოციალურ გარემოსთან კონტაქტი.

ასევე ხარვეზიანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ მათთ-ვის განკუთვნილი სოციალური დახმარებით სარგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. ამასთან, სასამართლოების და ექსპერტიზის ეროვნული ბი-უროს მიერ მხარდამჭერის ინსტიტუტის გამოყენება ფსიქოსოციალური საჭ-იროებების მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკის საფუძველზე ხდება.

ინკლუზიური განათლება

სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ არის შემთხ-ვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თუ სპეციალური სა-განმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, სასკოლო განათლების მიღების პროცესში დაბრკოლებას აწყდებიან. არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის და საკითხის შესწავლისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინ-ისტროს არასათანადო რეაგირების გამო, საგანმანათლებლო პროცესი ბავშვე-

ბზე სრულად მორგებული არ არის. გარდა ამისა, სკოლებში, როგორც წესი, სპეციალური მასწავლებლების ნაკლებობაა ან მათი როლი არაა სათანადოდ გააზრებული.

სახალხო დამცველს მომართა არასრულწლოვანი ლ.ს.-ს მშობელმა, რომლის განცხადებით, მისი 10 წლის შვილს, ჰიპერაქტიურობის გამო, სწავლის პროცესში მუდმივად ექმნება პრობლემები; იგი სრულფასოვნად ვერ სარგებლობს განათლების უფლებით, ვინაიდან მასწავლებლები ვერ უმკლავდებიან მის ქცევას, ბავშვი არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, არ არის შექმნილი მისთვის და სხვა ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემო და გაკვეთილები ხშირად ვერ ტარდება.

ამასთან, სახალხო დამცველის წარმოებაში იყო მ.კ.-ს განცხადება, რომლის თანახმად, სკოლაში არ ხდება მისი აუტისტური სპექტრის მქონე შვილის სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინება - სკოლის დირექტორის მითითების თანახმად, დაგვიანების შემთხვევაში, როდესაც გაკვეთილის დასრულებამდე მცირე დროა დარჩენილი, ბავშვი არ უნდა დაიშვას კლასში. განსახილველი საქმის კონტექსტში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სკოლის ადმინისტრაციის, სპეციალური მასწავლებლის და მშობლის როლის არასათანადო ნორმატიული რეგულირების პრობლემა.

2016 წლის 23 დეკემბერს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა ზოგადი წინადადებით,[9] რომლითაც მოუწოდა, დააჩქაროს ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. კერძოდ, საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები, რომლებიც აამაღლებს მის ეფექტურობას სკოლებში ინკლუზიური განათლების ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის თვალსაზრისით, ასევე მისი, როგორც სკოლასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს შორის შუამავლის ფუნქციებს; საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სპეციალური მასწავლებლის როლი და უფრო ეფექტური გახდეს მისი ფუნქციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინკლუზიურ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით; ასევე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილე მხარეების უფლებები და მოვალეობები, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების როლთან მიმართებით. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის სპეციფიური საჭიროებებისადმი არათანმიმდევრული მიდგომა, ასევე ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა ახალისებს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ.

9 სრული ვერსია იხილეთ: http://ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/gadawyvetilebebi/zogadi-winadadeba/zogadi-winadadeba-inkluziuri-ganatlebis-processhi-shezguduli-shesadzleblobis-nishnit-diskriminaciis-tavidan-acilebis-shesaxeb.page

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით დაუბრკოლებლად სარგებლობა ამ საანგარიშო პერიოდშიც პრობლემას წარმოადგენს. სახალხო დამცველის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები, რომელთა ქცევაც რთულად სამართავია, და მათი მშობლები მუნიციპალურ ტრანსპორტში, მძღოლისა და მგზავრების აგრესიის მსხვერპლნი გამხდარან.

2016 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა ე. მ-მ, რომლის მითითებით, ის და მისი შვილები, რომელთაგან ერთ-ერთი აუტისტური სპექტრის მქონეა, გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი ავტობუსის მძღოლის მხრიდან. ამ შემთხვევის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები მგზავრობისას რამდენჯერმე ახლდნენ განმცხადებელს. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვი აგრესიის მსხვერპლია როგორც მძღოლების, ასევე მგზავრების მხრიდან. მოქალაქეთა გაღიზიანება და უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია ცნობიერების დაბალი დონით და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია აუტიზმის შესახებ და ფიქრობენ, რომ ბავშვის ქცევა მართვადია.

აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალხო დამცველმა დაამზადა ვიდეო რგოლი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის და მისი მშობლის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობას ასახავს და რომელიც ტელევიზიის და ინტერნეტის საშუალებით გავრცელდება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 6 ნოემბერს, მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მიმართა ზოგადი წინადადებით,[10] რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ ტრენინგები ჩაუტარდეთ იმ თანამშრომლებს, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ მგზავრებთან; კომპანიამ შეიმუშაოს მგზავრთა გადაყვანის მოქნილი გრაფიკი, რათა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს დამატებითი დროის გამოყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სოციალური პაკეტით სარგებლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსხვავებულ მოპყრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების მიღების დროსაც აწყდებიან. კერძოდ, საქართველოს მთავრობის

10 სრული ვერსია იხილეთ: http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/zogadi-winadadeba-shps-tbilisis-satransporto-kompanias-shezguduli-shesadzleblobebis-mqone-pirta-specialuri-sachiroebebis-shesaxeb.page

2012 წლის 23 ივლისის N279 სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირებისა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაშინ როდესაც, კერძო სექტორში დასაქმებული იმავე შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა.

2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა,[11] რომელშიც აღნიშნა, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ერთნაირი შეზღუდვის მქონე პირებს, არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე, თანაბარი საჭიროებები აქვთ, შესაბამისად, თანაბარია მათი ინტერესი, მიიღონ დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტი. არსებითად თანაბარ პირობებში მყოფ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირებისა) და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განსხვავებულად ეპყრობიან, რაც განპირობებულია მათი დასაქმების სფეროთი, განსხვავების ლეგიტიმური მიზანი კი მთავრობას არ დაუსახელებია.

მხარდაჭერის მიღების პრაქტიკა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა ღირსების პატივისცემა, ინდივიდუალური ავტონომია, მათ შორის, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და ადამიანის დამოუკიდებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, სრული და ეფექტური მონაწილეობა, სოციალური ინკლუზია და ა.შ. მჭიდროდ უკავშირდება სამართალსუბიექტობასა და ქმედუნარიანობას, რაც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის (CRPD) ქვაკუთხედს წარმოდგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლისათვის მხარდამჭერის სისტემის დანერგვით, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და სახალხო დამცველის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზით[12] გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერის სისტემის პრაქტიკული განხორციელება პრობლემებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, იკვეთება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოს მიერ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის

11 http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-saqartvelos-mtavrobas-kerdzo-da-sadjaro-seqtorshi-dasaqmebul-shshm-pirebs-shoris-diskriminaciis-agmofxvrisaken-mouwoda.page

12 საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf

დასმული კითხვების ზოგადი ხასიათი, ექსპერტიზის დასკვნაზე დაფუძნებული სასამართლოს გადაწყვეტილებების შაბლონური ფორმა და პირის ინდივიდუალური საჭიროების უგულებელყოფა.

მხარდაჭერის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარდაჭერის მიმღები პირი გახადოს მეტად თავდაჯერებული და განუვითაროს უნარები, რათა მომავალში, სურვილის შემთხვევაში, მას ნაკლები მხარდაჭერა დასჭირდეს.[13] ამდენად, მხარდაჭერის ინსტიტუტის სწორად გამოყენებას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

ფსიქოსოციალური საჭიროების შესახებ ექსპერტიზის დასკვნაში, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში ნაჩვენები უნდა იყოს სავარაუდო მხარდაჭერის მიმღები პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ სასამართლო, მხარდამჭერის დანიშვნისას, მხარდაჭერის მიმღები პირის ფსიქოსოციალურ საჭიროებებს ითვალისწინებს და გადაწყვეტილებას იღებს პირის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რომ მხარდაჭერის მოდელის ნაცვლად მოხდება ნების სრული ჩანაცვლება და პირის ნების ავტონომიაში მძიმე და გაუმართლებელი ჩარევაა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2017 წლის 21 ივნისს გამოცემულ ზოგად წინადადებაში[14] აღნიშნა, რომ სასამართლოსა და ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან პირის ინდივიდუალური საჭიროებების უგულებელყოფა დაბრკოლებას უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად განხილვის ყველა მცდელობას, ხელს უწყობს დისკრიმინაციის წამახალისებელი, მასტიგმატიზებელი გარემოსა და განწყობების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პირთა მიერ თავიანთი ფუნდამენტური უფლებებით მაქსიმალურად სარგებლობას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საერთო სასამართლოებში არსებობდეს სტანდარტი, რომლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებული იქნება მხარდასაჭერი სფეროები და ფარგლები განსაზღვროს პირის ინდივიდუალური ფსიქოსოციალური საჭიროებიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამისათვის ასევე საჭიროა, რომ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შეფასებისას გამოიყენოს ინდივიდუალიზებული მიდგომა.

13 UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §24

14 სახალხო დამცველის 2017 წლის 21 ივნისის ზოგადი *წინადადება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ექსპერტიზის ბიუროს*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4616.pdf

3. რელიგია

რელიგიური უმცირესობები საქართველოში კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა ძირითადად, მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის და დისკრიმინაციის წამახალისებელი ფაქტები გამოავლინა, რაც უკავშირდება ინდოქტრინაციას საჯარო სკოლებში, საქართველოს საზღვრის კვეთისას შექმნილ შეფერხებებს, ასევე, შენობით სარგებლობის პრობლემას.

საჯარო სკოლებში არსებული ვითარება

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეების შინაარსიდან ირკვევა, რომ საქართველოს რიგ საჯარო სკოლებში, ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციის დროს, ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა რელიგიური იდენტობის გამოხატვის შეზღუდვებს; ასევე, სასკოლო განათლების პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა თუ იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების შემთხვევებს.

ერთ-ერთი შემთხვევა შეეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მომხდარ ფაქტს, როდესაც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მუსლიმ მოსწავლე გოგონას სკოლაში მისი ჩარიცხვის პირობად ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) სკოლის შენობაში ტარებაზე უარის თქმა მოსთხოვა, რაც, თავის მხრივ, სკოლის მუსლიმ მოსწავლეთა პროტესტის საფუძველი გახდა. აღნიშნული ფაქტის პარალელურად, წინააღმდეგობრივ ფონზე მიმდინარეობდა სოფელში მუსლიმური სალოცავის მშენებლობის საკითხის განხილვა. პროცესში ასევე ჩართული იყო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც სალოცავის მშენებლობას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა.

მუსლიმური სალოცავის მშენებლობის განხილვის ფონზე მიმდინარეობდა ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის სკოლის მუსლიმი მოსწავლეების შეურაცხყოფის ფაქტები. სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებაში საუბარია სკოლაში არსებულ ძირითად პრობლემებზე: მოსწავლეებში ძალადობრივი და აგრესიული განწყობის ზრდის ტენდენცია, რის პრევენციასაც სკოლის ადმინისტრაცია ვერ ახდენს; მასწავლებლების და ადმინისტრაციის უმოქმედობა მოსწავლეების მხრიდან მუსლიმი მოსწავლეების მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ მიმართვებზე, როგორიცაა „თათარი“ და სრული პასიურობა მსგავსი შემთხვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით.

სახალხო დამცველმა შესაბამისი განცხადების საფუძველზე შეისწავლა თბილისის 158–ე საჯარო სკოლაში შექმნილი ვითარება. განცხადების თანახმად, აღნიშნული სკოლის კლასების ინფრასტრუქტურაში დიდი ადგილი ეჭირა რელიგიურ კუთხეებს, ხატებს, ჯვრებს, წმინდანთა გამოსახულებებს. როგორც გაირკვა, მასწავლებლები გაკვეთილებს იწყებდნენ საკმევლის ანთებით. განმცხადებელი

აღნიშნავდა, რომ ამ მასწავლებლებს საკუთარ თავზე ჰქონდათ აღებული არა-მართლმადიდებელი მოსწავლეების ინდოქტრინაციის ფუნქცია. საქმის მასალების თანახმად, სასულიერო პირები სისტემატურად სტუმრობდნენ სკოლას დასალოცად; ტრადიციის ფორმა ჰქონდა პირველკლასელთა ეკლესიაში დალოცვის რიტუალს, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ მუსლიმი მოსწავლეები. სკოლიდან ექსკურსიები, ძირითადად, მართლმადიდებლურ ტაძრებში ეწყობოდა.

კიდევ ერთი განცხადება შეეხებოდა 2014 წლის ივნისის დასაწყისში, იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული საპროტესტო აქციის დროს მომხდარ ფაქტებს. განცხადების განხილვის პროცესში, ცნობილი გახდა, რომ აქციაზე იმყოფებოდნენ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ხელში ეჭირათ საპროტესტო ბანერები წარწერებით „შეაჩერეთ ანტიმართლმადიდებლური მშენებლობა!!!“. მსგავსი შინაარსის მქონე აქციებს აქტიურად ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები. მოპოვებული ვიდეო მასალა ცხადყოფს, რომ აქციაზე აქტიურად გამოიყენებოდა სიძულვილის და მუქარის ენა: „მშენებლობა დაიწყეს ამ სექტანტებმა,“ „არსებობს ბრძანება ამ რასელისტების ბუდის მშენებლობის შეჩერებაზე“, „პარლამენტარებმა მიიღეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ... და ამით თავი გაუტოლეს მამათმავლობას“, „როდესაც ხელისუფლება იეღოველების, რასელისტების ბუდეს აშენებინებს“, „იყო მართლმადიდებელი და იყო ქართველი, ნიშნავს თუ აუცილებელია, შეეწირო ამ ორ სიტყვას,“ „მამათმავლების მხარდამჭერი ორივე მთავრობა,“ „ვინც სექტანტების ბუდის მშენებლობას ხელს მოაწერს ის არის ფარისეველი,“ „ან მოქცეულიყვნენ ან გაქცეულიყვნენ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტისა და შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით[15] მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, უფრო დეტალურად შეისწავლოს საჯარო სკოლებში რელიგიური იდენტობის გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის, ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების საკითხი და ჩამოაყალიბოს ყველა საჯარო სკოლისთვის ერთიანი მიდგომა; შეისწავლოს სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხი; უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურაში რელიგიური ატრიბუტიკის არააკადემიური მიზნების გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა; განსაკუთრებით, რელიგიური ან ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვან რეგიონებში არსებული სკოლების მასწავლებლებისთვის, პრიორიტეტულად, უზრუნველყოს ტრენინგები ტოლერანტობის და მულტიკულტურული სწავლების მნიშვნელობის თაობაზე; დისკრიმინაციის მსხვერპლის გამოკვეთის შემთხვევაში, საჭიროების არსებობისას, გაეწიოს ფსიქოლოგიური დახმარება და მოხდეს დისკრიმინაციის ჩამდენ მასწავლებელთან გასაუბრება და მისი ხელახალი გადამზადება.

15 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4746.pdf

ქობულეთის პანსიონის საქმე

გასულ წლებში, სახალხო დამცველმა, დისკრიმინაციასთან ბრძოლის მანდატის ფარგლებში, რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებზე რამდენჯერმე წარუდგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება საერთო სასამართლოებს, ხოლო საანგარიშო პერიოდში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია პირველად დაადგინა.[16] საქმე შეეხება ქობულეთში, მუსლიმი თემის მფლობელობაში არსებული იმ შენობა-ნაგებობის წყალარინების სისტემაზე მიერთების საკითხს, რომლის გამოყენებაც ბავშვთა პანსიონად იგეგმება. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, შპს „ქობულეთის წყალმა“ სამუშაოების ჩატარება დღემდე ვერ მოახერხა, რის მიზეზადაც ქობულეთის გამგეობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას ასახელებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უმოქმედობა განპირობებულია იმით, რომ ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“ შენობის რელიგიური დანიშნულებით გამოყენებას გეგმავს.

აღნიშნული საქმე და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეუსრულებლობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს გულგრილ დამოკიდებულებას რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მიმართ და დომინანტური რელიგიური ჯგუფის ზეგავლენას სახელმწიფოს ქმედებებზე. სახელმწიფო თავს არიდებს დაპირისპირებული ჯგუფების ურთიერთობაში აქტიურად ჩარევას და ცდილობს ერთი ჯგუფის ინტერესი დააკმაყოფილოს იმგვარად, რომ დომინანტი ჯგუფის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს. განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს მუსლიმი თემის მიერ საკუთრების უფლების ეფექტურ რეალიზებას.

თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უპასუხა, ან არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და ამავე დროს არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს, საქართველოს კანონმდებლობა[17] უფლებას ანიჭებს სახალხო დამცველს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება. რეკომენდაციის აღსრულების მიზნით, სახალხო დამცველი კანონით გათვალისწინებული მექანიზმის გამოყენებას გეგმავს.

მუსლიმების მიერ საზღვრის კვეთა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მიიღო განცხადებები, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას მუსლიმ პირებს პრობლემები ექმნებოდათ. კერძოდ, მათ აყოვნებდნენ საზღვარზე, ინტერესდებოდნენ მათი მოგზაურობის მიზეზით, თურქეთის რესპუბლიკასთან კავშირითა და სხვა მუსლიმ პირებთან ურთიერთობებით.

16 სახალხო დამცველის 2016 წლის 19 სექტემბრის რეკომენდაცია რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3908.pdf

17 „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მე-14 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ” ქვეპუნქტი

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, გარდა განცხადებებში მოხსენიებული პირებისა, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დამატებით გამოკითხეს მუსლიმი პირები, რომელთაც სახელმწიფო საზღვრის კვეთისას ანალოგიური პრობლემები შეექმნათ. სახალხო დამცველმა შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა განცხადებებში მითითებული პერიოდის ამსახველი ვიდეო მასალა და სარფის საბაჟო–გამშვები პუნქტის მეშვეობით შემოტანილ ნივთთა სახელმწიფოს საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემის შესახებ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ასლები.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ მითითებულ პერიოდში სახელმწიფოსთვის სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ნებაყოფლობით გადაცემულ ნივთთა ნუსხა მრავალფეროვანია და ძირითადად შეიცავს თამბაქოს, ალკოჰოლურ ნაწარმს, ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს და ტანსაცმელს. სახელმწიფოსთვის ნებაყოფლობით გადაცემული საქონლის ნუსხაში ძალიან მცირე ადგილს იკავებს ლიტერატურა. მისი გადაცემის სულ შვიდი ფაქტი დაფიქსირდა, თუმცა შვიდივე შემთხვევაში გადაცემული წიგნები ისლამის შესახებაა, მათ შორის არის ყურანიც. აღნიშნულ ინფორმაციას ასევე ერთვოდა იმ პირთა სია, რომლებმაც სახელმწიფოს ნებაყოფლობით გადასცეს მითითებული წიგნები.

მოპოვებული მასალებით გამოიკვეთა, რომ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კვეთისას, სავიზო-საპასპორტო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან დაბრკოლებები ექმნებოდათ მუსლიმ პირებს. სხვა პირებთან შედარებით, მათ აყოვნებდნენ და შემოწმების ხანგრძლივი პროცედურის დროს უსვამდნენ პირადი ხასიათის კითხვებს გარეგნობის, რელიგიური აღმსარებლობის, წარსულის, თურქეთში კავშირების და ცხოვრების წესის შესახებ. ამასთან, ყველანაირ პირობას უქმნიდნენ საკუთრებაში არსებული რელიგიური ლიტერატურის დასათმობად.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას მათი მიმოსვლის თავისუფლების და საკუთრების უფლებების შეზღუდვის გზით.[18]

სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლებისა და სხვა გამოკითხული პირების საზღვრის კვეთისას დაყოვნება, რელიგიური ატრიბუტიკისა თუ ნივთების შემოტანაზე შექმნილი დაბრკოლებები, ემსახურება მათში რელიგიური აქტივობის დათრგუნვას, რასაც მომავალში შესაძლოა გამყინავი ეფექტი ჰქონდეს საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის უფლებების გაუმჯობესებისკენ სწრაფვაზე. ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში ადვილი შესაძლებელია ლიტერატურის, მათ შორის, რელიგიური შინაარსის მქონე ტექსტების ელექტრონული ვერსიის მოძიება და გავრცელება. ამ ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ლიტერატურის შემოტანის აკრძალვა იძენს ბუნდოვან, დისკრიმინაციული პრაქტიკის წამახალისებელ სახეს.

18 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4398.pdf

თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი განცხადებები ცხადყოფს, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია, რომლის წევრებიც დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან. მიუხედავად ამისა, ლგბტ თემის წარმომადგენლები მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტების გასაჯაროებას ხშირ შემთხვევაში ერიდებიან. სამწუხაროდ, საზოგადოებაში კვლავ მყარად არის ფესვგადგმული ნეგატიური სტერეოტიპული განწყობები ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ, რაც ხელს უშლის მათ რიგი უფლებებით სარგებლობაში და აქეზებს მათ მიმართ შეუწყნარებლობასა და ძალადობას.

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით[19] გამოეხმაურა 2017 წლის 25 აგვისტოს ბათუმში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ლგბტ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის - ააიპ „თანასწორობის მოძრაობის" წევრების - ლ.ბ.-ს და თ.კ.-ს სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტს. განცხადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ძალადობისა და ჰომოფობიური გამოვლინების არაერთ შემთხვევას ქონდა ადგილი, რა დროსაც ლგბტ თემის წარმომადგენლები პოლიციის უმოქმედობაზე და მათ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე მიუთითებდნენ.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ხშირია შეთხვევები, როდესაც ლგბტ თემის წარმომადგენლები დისკრიმინაციას მომსახურების მიღებისას აწყდებიან. ზოგიერთ შემთხვევაში, განმცხადებლები დისკრიმინაციას ექვემდებარებიან იმის მიუხედავად, მიეკუთვნებიან თუ არა ლგბტ თემს. აღნიშნული, ძირითადად, განპირობებულია მათი გარეგნობით, ჩაცმის სტილითა თუ ქცევით, რაც მათი პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების სფეროს ნაწილია.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები, რომლებზეც შესაბამისი რეკომენდაციები გამოიცა, შეეხებოდა ტაქსის მძღოლის მიერ ტრანსგენდერი ქალისთვის მომსახურების გაწევაზე უარს,[20] ერთიდაიმავე სქესის წარმომადგენელი წყვილის ღამის კლუბიდან გაგდების შემთხვევას,[21] ასევე, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას აღქმით დისკრიმინაციის საფუძვლით.[22] აღსანიშნავია, რომ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებში, სახალხო დამცველი გადაწყვეტილებას იღებს არამხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გამოკვლეული გარემოებების გათვალისწინებით, არამედ ასევე მხედველობაში იღებს ლგბტ თემის

19 http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-tanasworobis-modzraobis-wevrta-mimart-ganxorcielebuli-savaraudo-arasatanado-mopyrobis-faqtze.page

20 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4497.pdf

21 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4194.pdf

22 სახალხო დამცველი 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება გარეგნობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4397.pdf

მიმართ საზოგადოებაში არსებულ ზოგად განწყობებს, რომელიც, როგორც წესი, დისკრიმინაციის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ასევე არაერთხელ მოახდინა რეაგირება რეკლამების მეშვეობით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებზე, მათ შორის, გენდერული იდენტობის გამო. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს შპს „სისი ლოუნის" მიერ გავრცელებული სარეკლამო ვიდეო რგოლი, სადაც გაშარჟებულია ტრანსგენდერი ადამიანი, რომელიც, იმისათვის რომ ფული იშოვოს, პროსტიტუციას ეწევა.[23]

5. დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების უმრავლესობა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს შეეხება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაცია გამოსცა, ზოგიერთ საქმეზე წარმოება შეჩერდა/შეწყდა, ვინაიდან განმცხადებლებმა იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სასამართლოს მიმართეს, ზოგ შემთხვევაში კი დისკრიმინაციული მოპყრობა არ გამოიკვეთა.

ვაკანსიის შესახებ განცხადებები

დისკრიმინაცია, როგორც სოციალური მნიშვნელობის ფენომენი, განსაკუთრებული სიმწვავით სწორედ შრომით ურთიერთობებში ვლინდება, რადგან სუბორდინაციული ურთიერთობის დროს დამსაქმებლის ხელში შესაძლოა აღმოჩნდეს დასაქმებულის, როგორც ურთიერთობის სუსტი მხარის მიმართ ძალაუფლების არასათანადოდ გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ეფექტიანი პრევენციის საკითხები მუდმივად ექცევა სახალხო დამცველის ყურადღების ქვეშ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მასშტაბით ვაკანსიის შესახებ განცხადებების გამავრცელებელი ყველაზე მსხვილი საიტის (www.jobs.ge) მიმართ გამოცემული ზოგადი წინადადება და შპს „ელიტ-სერვისის" მიმართ - რეკომენდაცია.

სახალხო დამცველმა როგორც მომართვის, ასევე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე შეისწავლა დასაქმების სხვადასხვა ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული დისკრიმინაციული განცხადებები ვაკანსიების შესახებ. ვაკანსიების უმეტესობა, შეიცავს სქესზე ორიენტირებულ ფრაზეოლოგიას - მაღალანაზღაურებად, საპასუხისმგებლო სამუშაოზე სასურველ კანდიდატს მამაკაცი წარმოადგენს,

23 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4000.pdf

იმ პოზიციებზე კი, რომლებიც განსაკუთრებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვს, დამსაქმებელი „სასიამოვნო გარეგნობის მქონე“, „18-დან 25 წლამდე“, „დაუოჯახებელ“ გოგონას ეძებს.

იმის გამო, რომ დასაქმების ვებ-გვერდები დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი ვაკანსიების ფილტრაციას არ ახდენენ, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ დამსაქმებლებს, განახორციელონ დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ, დისკრიმინაციული პრაქტიკის ტირაჟირებას უწყობენ ხელს.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, შრომით ბაზარზე არსებული მანკიერი დისკრიმინაციული პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში სამუშაოს მაძიებელს თავიდანვე უსპობს საშუალებას გამოეხმაუროს დამსაქმებლის მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებს, რადგან პოტენციურ სამუშაოზე აუცილებელია „სასიამოვნო გარეგნობა“, „სტაბილურობა“, კონკრეტული სქესი და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი, სქესის გარდა, შეფასებით კატეგორიებს განეკუთვნება, რომელთა ობიექტურად განსაზღვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იქმნება რეალობა, სადაც, ერთი მხრივ, დამსაქმებლების მხრიდან ადგილი აქვს დისკრიმინაციულ მოპყრობას, ვინაიდან ისინი ვაკანსიის შესახებ განცხადებაში პირდაპირ მიუთითებენ დისკრიმინაციულ შეზღუდვებს. მეორე მხრივ კი, დასაქმების ვებ-გვერდები, დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი განცხადებების გავრცელებით ხელს უწყობენ ნეგატიური სტერეოტიპების გამყარებას დასაქმების სფეროში ქალისა და მამაკაცის გენდერული როლების შესახებ, ასავე, ახალისებენ დისკრიმინაციას ასაკის ნიშნით. ამასთან, მსგავს შემთხვევებში, კერძო პირები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ იჩენენ სახალხო დამცველთან თანამშრომლობის მზაობას. სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც[24] ხაზი გაუსვა აღნიშნულ პრობლემას.

საკითხის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო), დაინტერესდეს აღნიშნული პრობლემით და შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ამასთან, სახალხო დამცველმა ჯანდაცვის სამინისტროს მოუწოდა, დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიმუშავოს სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული იქნება რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს ვაკანსიის შესახებ განცხადებების ფორმულირება, რა ტერმინების გამოყენება იწვევს დისკრიმინაციას და როგორ შეიძლება განცხადების მორგება სამუშაოს სპეციფიკაზე იმგვარად, რომ დისკრიმინაციული შეზღუდვები არ იქნეს გამოყენებული.

24 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 766. იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf

შრომითი უფლებები სკოლებში, ბაღებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სკოლებში, ბაღებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შრომითი უფლებების სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციული ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში არაერთი განცხადება შემოვიდა. განცხადებათა აბსოლუტური უმრავლესობა ეხებოდა პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს. ზოგიერთ განცხადებაში ასევე ნახსენები იყო შეზღუდული შესაძლებლობა, განსხვავებული მოსაზრება და ეთნიკური წარმომავლობა, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი.

წინა საანგარიშო წლების მსგავსად, სკოლებში პრობლემად რჩება საგაკვეთილო საათების განაწილების საკითხი. საგაკვეთილო საათების ცვლილება განმცხადებლების მიერ ხშირ შემთხვევაში მიჩნეულია დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებად. ბუნებრივია, სკოლაში სასწავლო პროცესი დინამიკურობით ხასიათდება და საათობრივი დატვირთვის ცვლილება შესაძლოა, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ობიექტურ გარემოებებთან, როგორიცაა მასწავლებელთა რაოდენობის ცვლილება, საგაკვეთილო საათების რაოდენობის ცვლილება, კლასების გაყოფა/გაერთიანება. მეორე მხრივ, კი საათების ცვლილება შეიძლება გამოყენებული იყოს ზოგიერთი მასწავლებლის „დასჯის“, ანგარიშსწორების ან/და ზოგადად დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელების მიზნით.

თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული განცხადებების მიხედვით, სკოლებში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სადამრიგებლო კლასების გადანაწილება. როგორც წესი, არსებობს პრაქტიკა, როდესაც მე-12 კლასის დამრიგებელი, ახალი სასწავლო წლიდან ავტომატურად ხდება მე-5 კლასის დამრიგებელი, ხოლო მე-5 კლასის დამრიგებელი სათავეში უდგება პირველ კლასს. აღნიშნული პრაქტიკა, შესაძლოა, ერთი მხრივ, დამრიგებლის ფუნქციების შესრულების ყველანაირ შესაძლებლობას ართმევდეს და მოტივაციას უკარგავდეს მასწავლებელს, რომელსაც არასოდეს შეუსრულებია ამგვარი ფუნქციები, მეორე მხრივ კი, აღნიშნული მიდგომა მოქმედი დამრიგებლებისთვის ერთგვარი გარანტიაა. შესაბამისად, სკოლის დირექტორის მიერ დამრიგებლის ფუნქციების სხვა მასწავლებლისთვის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა გამართლებული იყოს სხვა მასწავლებლების წახალისების და სასწავლო პროცესში მათი გააქტიურების მიზნით.

სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა განიხილა განცხადებები, რომელშიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელები დისკრიმინაციული მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებას ასაჩივრებდნენ. განცხადებების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ“ კონკრეტულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩაატარა აუდიტის შემოწმებები, რომლებიც მიზნად ისახავდა გახარჯული თანხებისა და საკვების ზედმეტობით ჩამოწერის ფაქტების მიზნობრიობის შემოწმებას. ზოგიერთ დაწესებულებაში გამოვლინდა მცირე მნიშვნელობის დარღვევები, რაც საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო დი-

რექტორების გათავისუფლებას. გათავისუფლებული პირები მიიჩნევდნენ, რომ მათთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძველი იყო მათი ნათესავების ოპოზიციური პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილება ან/და ის ფაქტი, რომ ისინი თანამდებობაზე პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში დაინიშნნენ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შედარებით ნაკლები იყო განცხადებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დისკრიმინაციული მოტივით შრომითი უფლებების დარღვევის სავარაუდო ფაქტებზე. ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებლი სადავოდ ხდიდა ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების გზებს და საშუალებებს. კერძოდ, მიიჩნევდა, რომ კონკურსი არ ჩატარდა საჯაროდ და ვაკანსიის შესახებ განცხადება საერთოდ არ გავრცელებულა.

საანგარიშო პერიოდში განმცხადებლები სახალხო დამცველს იმ შემთხვევაშიც მომართავდნენ, თუ თვლიდნენ, რომ არსებობდა მათი შრომითი უფლებების დარღვევის საფრთხე და პრევენციული ღონისძიებების გატარებას ითხოვდნენ. მართალია, სახალხო დამცველის მანდატი მხოლოდ უფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირების საშუალებას იძლევა, თუმცა, უფლებათა დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა ასეთი განცხადებები წარმოებაში მიიღო და მეორე მხარისგან ინფორმაცია გამოთხოვა. მოგვიანებით, საქმეების უმრავლესობაზე საქმისწარმოება შეწყდა, ვინაიდან უფლებადარღვევის საფრთხე აღმოიფხვრა ან/და მხარეებმა შეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა.

დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში განსხვავებული მოსაზრების საფუძველზე

შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები განსაკუთრებით ხშირია და სხვადასხვა ფორმით ვლინდება. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ორი რეკომენდაცია გამოსცა განსხვავებული შეხედულებებისა და პროფესიულ კავშირში საქმიანობის გამო დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე.

პირველი შემთხვევა შეეხებოდა განმცხადებელისათვის დასაქმებაზე უარის თქმას შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიაში“[25], მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა სოციალურ ქსელში აკადემიის ხელმძღვანელის ზაზა ფაჩულიას მეგობარი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან კობიაშვილი გააკრიტიკა. მოპასუხე მხარემ განმცხადებლისათვის დასაქმებაზე უარისა და მასთან თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად აკადემიაში ფინანსური რესურსების ნაკლებობა დაასახელა, რაც განმცხადებლის მიერ კრიტიკული პოსტის გამოქვეყნებამდე, როგორც დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორი აკადემიის მხრიდან დასახელებული არ ყოფილა. ამდენად, კონკრეტულად მოცემულ საქმეში, ფინანსური რესურსების ნაკლებობა სახალხო დამცველმა დისკრიმინაციული მოპყრობის გამაქარწყლებელ არგუმენტად არ მიიჩნია.

25 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4324.pdf

მეორე შემთხვევა შეეხებოდა ჟურნალისტი ლაშა მესხის სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ გათავისუფლებას.[26] ლაშა მესხი აქტიურად იყო ჩართული პროფკავშირულ საქმიანობაში და წლების მანძილზე მწვავედ აკრიტიკებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტსა და მათ პოლიტიკას. 2017 წლის იანვრის ბოლოს, სხვა 12 თანამშრომლის მსგავსად, განმცხადებელთან ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი ურთიერთობა მხოლოდ განმცხადებელთან არ გაგრძელდა, რის საფუძვლადაც მოპასუხემ ხელშეკრულების ვადის გასვლა დაასახელა. ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის 13 თანამშრომლიდან, ვისთანაც ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულებები დაიდო, მხოლოდ განმცხადებელი გათავისუფლდა, თავისთავად წარმოშობდა განსხვავებული მოპყრობის ეჭვს, განსაკუთრებით კი იმ პირობებში, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი მასალები ადასტურებდა მის აქტიურ საქმიანობას პროფესიულ კავშირში და კრიტიკულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ მაუწყებელში დღემდე არსებული პრობლემების მიმართ.

6. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტური გამოძიება. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები ეხება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის თუ სხვა დაცული ნიშნის საფუძველზე ჩადენილ, სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხზე ამჯერად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისთვის ჩაატარეს ტრენინგი, რაც სახალხო დამცველსა და საგამოძიებო ორგანოებს შორის თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს. ამასთან, გაეროს უნივერსალური პერიოდული განხილვის ფარგლებში, საქართველომ მიიღო რეკომენდაცია[27] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიზნით შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეული, თუმცა, მსგავსი ერთეული დღემდე არ შექმნილა. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვა მოწმობს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სიძულვილის მოტივი საგამოძიე-

26 სახალხო დამცველის 2017 წლის 31 მაისის რეკომენდაცია პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4509.pdf

27 https://www.upr-info.org/database/index.php?limit=0&f_SUR=63&f_SMR=All&order=&orderDir=ASC&orderP=true&f_Issue=All&searchReco=&resultMax=300&response=&action_type=&session=&SuRRgrp=&SuROrg=&SMRRgrp=&SMROrg=&pledges=RecoOnly

ბო ორგანოების ყურადღების მიღმა რჩება, რაც ხელს უშლის შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენციას.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები, მოიცავს სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელზეც გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა ან შეწყდა; ასევე საქმეებს, რომელზეც გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა. სახალხო დამცველი ასევე შეისწავლის სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დიდი ნაწილი, რომლის გამოძიების პროცესში, საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით, დისკრიმინაციული საფუძველი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა, შეწყდა ან დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო არ დაწყებულა, შეეხება იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ როგორც ძალადობრივ, ასევე სხვა სახის ქმედებებს. ერთ-ერთი განცხადების მიხედვით, იეჰოვას მოწმეებს ავტომანქანით განზრახ შეეჯახა პირი, რომელიც ამ ფაქტამდეც აფიქსირებდა უარყოფით დამოკიდებულებას იეჰოვას მოწმეების მიმართ. სხვა განცხადების თანახმად, მეზობლის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა იეჰოვას მოწმე, რომლის სახლშიც რელიგიური დანიშნულების ღონისძიებები იმართებოდა. ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ცემა (და არა, მაგალითად, როგორც საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა) გათვალისწინებული დანაშაული), ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში კი გამოძიება წყდება.

იეჰოვას მოწმეები ასევე მიუთითებენ რელიგიური დანიშნულების შენობის ფანჯრებისთვის ქვების სროლის, სტენდებისთვის ცეცხლის წაკიდების და რელიგიური ლიტერატურის განადგურების ფაქტებზე. მათი განცხადებით, მართალია, რელიგიური დანიშნულების შენობისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანი არ აღწევს 150 ლარს, თუმცა საერთო ჯამში მიყენებული ზარალი საკმაოდ დიდია. მიუხედავად ამისა, მსგავს ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით იწყება (ნივთის დაზიანება ან განადგურება), რის შედეგადაც გამოძიება წყდება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანი 150 ლარს არ აღემატება. არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც კი, შესაბამისი გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ დაზარალებულს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა.[28]

ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდოდ სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული

28 დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ გამოყოფს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას

მოტივი არ გამოიკვეთა ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო. ასეთ შემთხვევებში სახალხო დამცველისთვის უცნობია, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით. მაგალითად, 2016 წლის ოქტომბერში ტრანსგენდერ ქალზე განხორციელებული სასიკვდილო თავდასხმის შემდეგ, საქართველოს პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქმეში სიძულვილის მოტივი არ იკვეთებოდა.

სახალხო დამცველის წარმოებაში 11 განცხადებაა, რომლითაც განმცხადებლები სხვადასხვა დისკრიმინაციული მოტივით სამართალდამცავთა მხრიდან მიყენებულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებენ, ძირითადად, ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ. ერთ შემთხვევაში პოლიციელები ტრანსგენდერ ქალს მისი იდენტობისთვის შეუსაბამო ტერმინოლოგიით მიმართავდნენ. სხვა შემთხვევებში ლგბტ თემის წარმომადგენლებს ჰომოფობიური ფრაზეოლოგიით მიმართავდნენ. პოლიციელების მხრიდან სავარაუდო შეურაცხყოფის მსხვერპლი ასევე ხდებიან რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. მაგალითად, ერთ-ერთი განმცხადებელი მიუთითებდა, რომ პოლიციელმა მას თავის არეში დაარტყა ხელი და დამამცირებელ კონტექსტში უწოდა „ქურთი“.

სახალხო დამცველის აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო პირს პასუხისმგებლობა არამხოლოდ ქმედების ჩადენისთვის, არამედ დისკრიმინაციული განწყობისთვისაც დაეკისროს,[29] რაც დანაშაულის მოტივი გახდა.

7. დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები

თანასწორობის უფლების დაცვის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯარო პირების მხრიდან გაკეთებული, დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები. პრობლემის მასშტაბურობის გამო, სახალხო დამცველმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტის წევრთა გამონათქვამები, რომლებიც დისკრიმინაციული განწყობების გაძლიერებას უწყობდა ხელს ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ თემის, რელიგიური უმცირესობების მიმართ და პარლამენტს ზოგადი წინადადებით[30] მიმართა. ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველი შეეხო პარლამენტის წევრების ზოგად სამართლებრივ სტატუსსა და იმუნიტეტს, რომელიც მათ გამოხატვის თავისუფლებას უფრო ფართო თავისუფლებით აღჭურავს. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ იმუნიტეტი წარმოადგენს პარლამენტარის, როგორც საჯარო

29 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დისკრიმინაციის შემცველი ნებისმიერი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული

30 სრული ვერსია იხილეთ: http://ombudsman.ge/uploads/other/4/4192.pdf

პოლიტიკურ–სამართლებრივი სუბიექტის პრივილეგიას, რომლის მიზანიცაა პარლამენტის დემოკრატიული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ პრივილეგიის ბოროტად გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებას და მის ბოროტად გამოყენებას. მიუღებელია პოლიტიკურ დისკურსში „სიძულვილის ენის" გამოყენება, მიუხედავად იმისა, ექცევა თუ არა იგი პარლამენტარის სიტყვის თავისუფლების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა ქედის საკრებულოს დეპუტატების მიერ ქალებისთვის სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნის ფაქტსა[31] და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძისა და ექსპერტისა და პოლიტოლოგის გია ხუხაშვილის გამონათქვამებს, რომელთა განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარე „პოლიტიკურ აუტიზმში" იმყოფებოდა.[32]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯარო პირების მიერ დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების საჯაროდ გავრცელება აბრკოლებს თანასწორუფლებიანობის დაცვას და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

31 http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-qedis-sakrebulos-wevrebis-seqsistur-gamonatqvamebs-exmianeba.page

32 http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-autizmis-speqtris-mqone-adamianebis-mimart-gamotqmul-sheuracxmyofel-gamonatqvamebs-exmianeba.page

თავი IV. ხარვეზები საქართველოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში

როგორც აღინიშნა, ანტიდისკრიმინაციული კანონის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი დოკუმენტი, ასევე, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის სამართლებრივი საშუალების მიღება პროგრესული ნაბიჯია საქართველოში ადამიანის უფლებების, კერძოდ კი თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ. თუმცა, როგორც სახალხო დამცველის თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2015 და 2016 წლის სპეციალურ ანგარიშებშიც იყო მითითებული, დღემდე არ არის აღმოფხვრილი ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში ბარიერებს ქმნის. ვითარება არ შეცვლილა 2015 წლის თებერვალში სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან მიმართებით, რომლის ინიცირება პარლამენტმა იმავე წლის ოქტომბერში მოახდინა.

აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება შეეხება პროცედურულ-სამართლებრივ ცვლილებებს და გულისხმობს, საჯარო უწყებების/პირების მსგავსად, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების დავალდებულებას დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის შესწავლის პროცესში მიაწოდონ სახალხო დამცველს საჭირო დოკუმენტაცია და წარმოადგინონ ინფორმაცია რეკომენდაციის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ. ამასთან, საკანონმდებლო წინადადებით ასევე მოთხოვნილია დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის სამთვიანი ვადის 1 წლამდე გაზრდა, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაძლიერება და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სახალხო დამცველისთვის საქმის შესწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მინიჭება. 2017 წლის აპრილში სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს პარლამენტს, მოუწოდა ინიცირებული ცვლილებების მიღების დაჩქარებისკენ და აღნიშნა, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სრულყოფილ შესწავლას აფერხებს ის გარემოება, რომ კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება არ აქვთ.[33]

სამწუხაროდ, პროცესუალურ-სამართლებრივი ხარვეზები არ არის ერთადერთი დაბრკოლება, რომელიც თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესს არაეფექტურს ხდის. როგორც თანასწორობის შესახებ 2016 წლის სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში იყო აღნიშნული, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დისკრიმინაციის ისეთ ფორმებს, რომელთა გამოსავლენად პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან განსხვავებული ტესტი გამოიყენება და რომლებიც, შესაბამისად, ინდივიდუალურ რეგულირებას საჭიროებს. კერძოდ, ანტიდისკრიმინაციული კანონი არ ითვალისწინებს **უარს გონივრულ მისადაგებაზე, შევიწროებას/სექსუალურ შევიწროებას** და **სეგრეგაციას,** როგორც დისკრიმინაციის ცალკეულ ფორმებს. ამავე ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ცნება - **ვიქტიმიზაცია, მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია, ბრძანება დისკრიმინაციაზე,** საჭიროებს დახვეწას.

33 http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelma-parlaments-antidiskriminaciuli-meqanizmis-gadzlierebis-miznit-cvlilebebis-migebisken-mouwoda.page

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (EWMI-PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტმა ანდრეა ბროდერიკმა მოამზადა ანგარიში, სადაც განხილულია გონივრული მისადაგების ცნება და ასახულია რეკომენდაციები ამ პრინციპის საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განაგრძობს მუშაობას გონივრული მისადაგების, როგორც დისკრიმინაციის ფორმის კანონმდებლობაში ასახვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ მსჯელობისას, სახალხო დამცველი, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ მატერიალურ-სამართლებრივ სიცარიელეს ავსებს საერთაშორისო სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც, დისკრიმინაციის რომელიმე ფორმის კანონით განუსაზღვრელობა ვერ გახდება მისი მსჯელობის მიღმა დატოვების საფუძველი. მაგალითად, სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები საქმეებზე, რომლებიც ეხება დისკრიმინაციის ისეთ ფორმებს, როგორიცაა, სექსუალური შევიწროება[34] და უარი გონივრულ მისადაგებაზე.[35]

ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კანონში პრობლემურია *პირდაპირი* და *ირიბი* დისკრიმინაციის ცნებების განსაზღვრება, რამდენადაც, არ შეესაბამება დისკრიმინაციის ამ ფორმების საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტს. ევროპული სტანდარტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაციის ცნება შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს: *როდესაც პირს, რომელიმე დაცული ნიშნის საფუძველზე, ეპყრობიან ნაკლებად ხელსაყრელად, ვიდრე არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირს და ასეთ მოპყრობას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება.*[36] *ირიბ დისკრიმინაციას კი აქვს ადგილი, როდესაც აშკარად ნეიტრალური წესი, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, რომელიმე დაცული ნიშნის საფუძველზე, ადამიანებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს/არაპროპორციულ უარყოფით ეფექტს ავრცელებს.*[37]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და არსებითი თანასწორობის მიღწევა კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია, რომლის განმავლობაშიც, თავს იჩენს სხვადასხვა დაბრკოლება, სახელმწიფო პოლიტიკის თუ საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობის სახით. ამის გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს, სულ მცირე, ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც თანასწორობის უფლება, ფორმალურად, სრულყოფილად იქნება გარანტირებული.

34 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4672.pdf

35 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4426.pdf

36 ECtHR, Kiyutin v. Russia, N2700/10, 10.03.2011: ‘difference in the treatment of persons in analogous, or relevantly similar, situations’, which is ‘based on an identifiable characteristic’ Article 2(2) of the EU Racial Equality Directive: ‘taken to occur where one person is treated less favourably than another is, has been or would be treated in a comparable situation on grounds of racial or ethnic origin’

37 ECtHR, DH v. Czech Republic, N57325/00, 13.11.2007: ‘a difference in treatment may take the form of disproportionately prejudicial effects of a general policy or measure which, though couched in neutral terms, discriminates against a group’; Article 2(2)(b) of the EU Racial Equality Directive: ‘indirect discrimination shall be taken to occur where an apparently neutral provision, criterion or practice would put persons of a racial or ethnic origin at a particular disadvantage compared with other persons’

V. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების ტენდენცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის[38] თანახმად, სახალხო დამცველი გამოსცემს რეკომენდაციას დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ასევე, ამზადებს ზოგად წინადადებას[39] დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი საჯარო უწყებებს აკისრებს ვალდებულებას, განიხილონ და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობონ სახალხო დამცველს რეკომენდაციის განხილვის შედეგები. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მოპასუხეთა მიერ დისკრიმინაციის საქმეებზე სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

თანასწორობის დეპარტამენტის შექმნიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე სახალხო დამცველმა საჯარო უწყებებს 19, ხოლო კერძო პირებს 16 რეკომენდაციითა და ზოგადი წინადადებით მიმართა.საჯარო უწყებებმა 19-დან 4 გადაწყვეტილება შეასრულეს, 6 არ გაიზიარეს, 9 კი შესრულების პროცესშია. ზოგიერთი საჯარო უწყების პასუხის თანახმად, რეკომენდაციას/ზოგად წინადადებას ეთანხმებიან, თუმცა, მისი შესრულების მიზნით, საჭიროა ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებების მომზადება. ზოგიერთ შემთხვევაში, კი მოპასუხისგან გვეცნობება, რომ თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები. მსგავსი პასუხის შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება შესრულების პროცესშია და აღსრულების მონიტორინგს განაგრძობს.

საჯარო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები, სულ 19



38 მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი
39 მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

რაც შეეხება კერძო პირების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს/ზოგად წინადადებებს, 16 გადაწყვეტილებიდან 3 შესრულდა, 13 შემთხვევაში კი მოპასუხემ არ გაიზიარა ან საპასუხო წერილი არ წარმოადგინა.

კერძო პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები, სულ 16



საჯარო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია ბათუმის საკრებულოს მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ბოტანიკური ბაღის დათვალიერებისას საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მოქმედი განსხვავებული ტარიფების გამო. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.** 2016 წლის 5 თებერვალს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული პასუხის თანახმად, ააიპ ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად შეიმუშავა და 2015 წლის 15 დეკემბრის N89 ბრძანებით დაამტკიცა ,,ააიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობის შესახებ“ ახალი სატარიფო გეგმა.

- **2015 წლის 29 სექტემბერს** სახალხო დამცველმა სქესისა და სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განეხორციელებინა ცვლილებები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანების N1 დანართში, რაც უზრუნველყოფდა მსმ ჯგუფისთვის სისხლის დონორობას ფანჯრის პერიოდის მიღმა. 2015 წლის 22 ოქტომბერის პასუხის თანახმად, სამინიტრომ **რეკომენდაცია არ გაიზიარა.**

- 2016 წლის 12 თებერვალს სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით პენიტენციური დეპარტამენტის N19 დაწესებულებაში სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის შედეგად განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თაობაზე. რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების სამეურნეო ნაწილში მოთავსებული პატიმრების არასათანადო საცხოვრებელ პირობებს. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.** 2016 წლის 11 აპრილის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სამინისტრო იზიარებს სამეურნეო ნაწილში განთავსებული პატიმრების საცხოვრებელი პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობის საკითხს და აქტიური სამუშაოები ტარდება პრობლემის მოსაგვარებლად. უკვე ჩატარებულია საპროექტო სამუშაოები, შერჩეულია კომპანია და დაწყებულია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, რომელიც აპრილის ბოლომდე დასრულდება. მოგვიანებით ადგილზე შემოწმდა აღნიშნული სამუშაოების ჩატარების ფაქტი.

- 2016 წლის 24 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების პატიმრისადმი დამამცირებელი მოპყრობისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ვინაიდან C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამით სარგებლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პატიმრებს შეეძლოთ. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.** სასჯელაღსრულების სამინისტროს 2016 წლის 20 მაისის პასუხის თანახმად, „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და როგორც განმცხადებელს, ასევე პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს/მოქალაქეობის არმქონე პირებს, საშუალება მიეცათ ჩაერთონ C ჰეპატიტის პროგრამაში.

- 2016 წლის 13 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა გაერთიანების წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, შეიმუშავოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი კანონის თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანის და ყველა სტუდენტისთვის, მათი გაერთიანებისადმი კუთვნილების მიუხედავად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით. **მოპასუხემ რეკომენდაცია გაიზიარა.** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივნისის და 30 ნოემბრის წერილების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა კანონის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია რეკომენდაციაში აღნიშნული საკითხიც და სამინისტრო გააგრძელებს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში კონსულტაციებს და განხილვებს.

- 2016 წლის 22 აგვისტოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით, სამინისტროს მოსამსახურეთათვის უზრუნველყოს ტრენინგები და სხვა შესაბამისი ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, ვინაიდან სამინისტროს თანამშრომლების გულგრილობის შედეგად, ეტლით მოსარგებლე განმცხადებლის ღირსება შეილახა. **რეკომენდაციაზე საპასუხო წერილის თანახმად,** შსს აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროგრამა სახელწოდებით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტები". პროგრამა მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის პერიოდში წარმატებით გაიარა 31-მა მსმენელმა. ხორციელდება პროგრამის ინტეგრირება პატრულ-ინსპექტორთა და უბნის-ინსპექტორთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

- 2016 წლის 19 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „ქობულეთის წყალს" მიმართა რეკომენდაციით რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, ვინაიდან, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება მუსლიმი თემის მფლობელობაში არსებული შენობის წყალარინების სისტემაზე შეერთება. ქობულეთის გამგეობამ 2016 წლის 9 ნოემბერს წერილობით აცნობა სახალხო დამცველს, რომ **მუნიციპალიტეტი იზიარებს რეკომენდაციას,** თუმცა, მისი შესრულების პროცესში წინააღმდეგობას აწყდება მოსახლეობის მხრიდან.

- 2016 წლის 18 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და თბილისის მერს უსახლკარო პირთა საცხოვრისით დაკმაყოფილების პროცესში საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.** თბილისის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის N4-18 დადგენილებით ცვლილება შევიდა საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში და ამოიღეს მე-4 მუხლი, რომელიც თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის პროცესში პრიორიტეტს ანიჭებდა ისნის ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობასა და ე.წ. თბილისის ზღვის უბნის კორპუსებში მაცხოვრებელ პირებს.

- 2017 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ „შემოსავლების სამსახურს." აღნიშნულ რეკომენდაციაში, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას მათი მიმოსვლის თავისუფლების და საკუთრების უფლებების შეზღუდვის გზით. **შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხეებმა რეკომენდაცია გაიზიარეს,** თუმცა დღეს არსებული მდგომარეობა სახალხო დამცველისთვის ცნობილი არ არის. 2017 წლის 10 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორო-

ბის პრინციპის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ საქართველოს შს სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მესაზღვრე კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აღნიშულ თემატიკაში მომზადებას გაივლის შს სამინისტროს 24 მომავალი თანამშრომელი. აგრეთვე, მიმდინარე წლის ივლისის თვიდან, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო ტრენინგი თემაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც სასაზღვრო პოლიციის, ასევე შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. პირველ ეტაპზე გადამზადდება 139 თანამშრომელი. აღნიშნული აქტივობა გაგრძელდება 2017 ბოლომდე. 2017 წლის 14 ივლისს, სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან" შემოსული წერილით, სახალხო დამცველს აცნობეს, რომ საბაჟო დეპარტამენტმა რეკომენდაციაში დასმულ საკითხებზე თანამშრომელთა ინფორმირება მოახდინა.

- 2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომ კერძო სექტორში დასაქმებულთა მსგავსად, უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით. **მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული.**

- 2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს" განმცხადებლის მიმართ პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით შრომით ურთიერთობაში განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა. 2017 წლის 30 ივნისის წერილის თანახმად, **მოპასუხემ რეკომენდაცია არ გაიზიარა.**

კერძო პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები:

- 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „არტპალასს" რეკომენდაციით მიმართა, შეიმუშავოს შიდა დოკუმენტი (დებულება/წესები/პრინციპები), რომლითაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მასში ღირსეულად მონაწილეობის ხელშეწყობის პრინციპები. **მოპასუხემ არ უპასუხა სახალხო დამცველის რეკომენდაციას.**

- 2015 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა

თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს, ვინაიდან ბავშვის თავმდგომად მხოლოდ ქალები დაიშვებოდნენ. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკურ საავადმყოფოს ცნობით, **მოპასუხემ რეკომენდაცია გაიზიარა -** შესაბამისი განყოფილების გამგეს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო შვილთან დარჩენაზე მშობლის სქესიდან გამომდინარე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს.

- 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა ლ.გ.-ს ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობებში თავი შეიკავოს დისკრიმინაციული მოპყრობისაგან. **მოპასუხემ რეკომენდაციას არ უპასუხა.**

- 2016 წლის 2 მარტს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ელიტ-სერვისს“ სქესის, ასაკის და ოჯახური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე ვაკანსიის შესახებ განცხადებაში აღნიშნული კრიტერიუმების დაწესების გამო. **მოპასუხემ რეკომენდაციას არ უპასუხა.**

- 2016 წლის 13 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ააიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებში ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა** და განმცხადებელი დაასაქმა შესაბამის პოზიციაზე.

- 2016 წლის 18 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს“ შრომით ურთიერთობებში ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ვინაიდან, მიიჩნია, რომ განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობა დისკრიმინაციული საფუძვლით აღარ გაგრძელდა. **მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.** „კრედოს 2016 წლის 20 ივნისის წერილის თანახმად, განმცხადებელი აღადგინეს სამსახურში და გაუფორმეს უვადო შრომითი ხელშეკრულება, ასევე, განმცხადებელს სრულად აუნაზღაურდა მკურნალობისთვის გაწეული ხარჯები და განაცდური ხელფასი. ამასთან, შპს „კრედოს“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა განმცხადებლისთვის წერილობით გამოცხადებული გაფრთხილება.

- 2016 წლის 31 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „ახალ მზერას“ რეკომენდაციით მიმართა ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოპასუხემ განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობა დისკრიმინაციული საფუძვლით აღარ გააგრძელა. **მოპასუხემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ რეკომენდაციას არ იზიარებს.**

- 2017 წლის 1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა კლუბ „Sector 26–ს“ მიმართა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის დადგე-

ნის თაობაზე, ვინაიდან ლგბტ თემის წარმომადგენელი წყვილი კლუბიდან გამოაგდეს. **მოპასუხემ რეკომენდაციას არ უპასუხა.**

- 2017 წლის 22 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიას“ მიმართა რეკომენდაციით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში განსხვავებული მოსაზრების გამო პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე. **მოპასუხემ რეკომენდაციას არ უპასუხა.**

- 2017 წლის 25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა ვეგან კაფე „კივის“ თანამშრომლების მიმართ გარეგნობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ გამოსცა რეკომენდაცია, რომლის ადრესატი ფიზიკური პირია. სახალხო დამცველმა კერძო მესაკუთრეს რეკომენდაციით მიმართა, ქირავნობიდან გამომდინარე სახელშეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობებში, მომავალში თავი შეიკავოს ნებისმიერი ნიშნის გამო დისკრიმინაციული მოპყრობისაგან. **მოპასუხემ რეკომენდაციას არ უპასუხა.**

- 2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ტაქსის მძღოლსა და ტაქსის კომპანია „Maxim“-ს (შპს „ტექნოკომი“) გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა, ვინაიდან განმცხადებელს ტაქსით მომსახურებაზე უარი ეთქვა დისკრიმინაციული საფუძვლით. მოპასუხის მიერ მოწოდებული 2017 წლის 5 ივნისის წერილის თანახმად, კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა ნორმატული აქტები აგებულია თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე. კომპანიის მენეჯერები მძღოლებთან ინდივიდუალურად ატარებენ გასაუბრებას და მოუწოდებენ მათ კლიენტების მიმართ თანასწორობის პრინციპის დაცვისკენ. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა მგზავრების მიმართ კორექტული მოპყრობა.

საჯარო უწყებების მიმართ გაცემული ზოგადი წინადადებები

- 2015 წლის 6 ნოემბერს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, იმ თანამშრომლებს, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ მგზავრებთან, ჩაუტარდეთ საგანმანათლებლო ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ; **მოპასუხემ ზოგადი წინადადება გაიზიარა** და ტრენინგების ჩატარების შესახებ მზადყოფნა გამოთქვა.

- 2016 წლის 30 აპრილს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ბიოლოგიის VIII კლასის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოღებულ იქნეს წამალდამოკიდებული, აივ ინფექციისა და შიდსის მქონე ადამიანების მიმართ სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი ფრაზები და მსჯელობები. **მოპასუხემ რეკომენდაციების უმრავლესობა გაიზიარა** და გვაცნობა,

რომ სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების მოქმედი წესი გადამუშავდება და უმოკლეს ვადაში დამტკიცდება შეფასების ახალი კრიტერიუმებით.

- 2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ზოგადი წინადადებით გენდერული ნიშნით შევიწროვების, სექსუალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა საქმეების შესახებ სტატისტიკის წარმოების აუცილებლობის თაობაზე. 2017 წლის 20 იანვრის წერილის თანახმად, **მოპასუხემ გაიზიარა ზოგადი წინადადება** და მიმდინარეობს მასში ასახულ საკითხებზე მუშაობა.

- 2016 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა ზოგადი წინადადებით, რომლითაც მოუწოდა, დააჩქაროს ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. საპასუხოდ მიღებული წერილის თანახმად, **მოპასუხემ გაიზიარა ზოგად წინადადებაში ასახული საკითხები და აღნიშნა,** რომ მიმდინარეობს მუშაობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მომზადების მიზნით.

- 2017 წლის 6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა ზოგადი წინადადებით, რომელიც პარლამენტის წევრების მიერ სიძულვილის ენის ან დაუცველი ჯგუფების მიმართ სხვა სახის შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენებას ეხებოდა. **სახალხო დამცველს ზოგად წინადადებაზე ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.**

- 2017 წლის 5 მაისს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება საჯარო სივრცეში განთავსებულ ვაკანსიის შესახებ განცხადებებზე. **მოპასუხემ ზოგადი წინადადება გაიზიარა.** სამინისტროს 2017 წლის 24 მაისის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის 2000 წლის 29 ივნისის ევროსაბჭოს 2000/43/EC დირექტივით და 2000 წლის 27 ნოემბრის ევროსაბჭოს 2000/78EC დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- 2017 წლის 21 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ზოგადი წინადადებით მიმართა მხარდამჭერის დანიშვნის პრაქტიკასთან დაკავშირებით. **მოპასუხემ ზოგადი წინადადება გაიზიარა.** 2017 წლის 14 ივლისის პასუხის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს სახალხო დამცველთან ზოგად წინადადებაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, და ამასთანავე, მოხდეს მოსამართლეებისათვის ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რათა შეიქმნას მხარდამჭერის მიმღები პირის უფლებების დაცვის მეტი გარანტია.

კერძო პირების მიმართ გაცემული ზოგად წინადადებები

- 2014 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სს „საქართველოს ბანკს“ სექსისტური რეკლამის ამოღების მიზნით, ზოგადი წინადადებით მიმართა. **მოპასუხეს ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები არ უცნობებია,** რეკლამა კი კვლავ განთავსებულია ბანკის ფეისბუქ გვერდზე.

- 2015 წლის 8 აპრილს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „ჯობს.გეს“, შეიმუშავოს ისეთი რეგულაციები, რომლითაც აღმოიფხვრება დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნება მის ვებგვერდზე. **მოპასუხეს ზოგადი წინადადების საპასუხოდ ინფორმაცია არ წარმოუდგენია.**

- 2016 წლის 9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნს“ ზოგადი წინადადებით მიმართა, ამოიღოს ფინანსური სიდუხჭირის მქონე და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი რეკლამები სატელევიზიო და ინტერნეტ სივრციდან. **მოპასუხეს ზოგად წინადადებაზე პასუხი არ წარმოუდგენია,** რეკლამები კი დღემდე არის განთავსებული ინტერნეტ სივრცეში.

- 2016 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ტელეკომპანია „ტაბულას“ სექსისტური შინაარსის მქონე პრომო რგოლთან დაკავშირებით ზოგადი წინადადებით მიმართა. 2016 წლის 5 სექტემბერის წერილის თანახმად, **მოპასუხე ზოგად წინადადებას არ იზიარებს.**

- 2016 წლის 21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „ვაკის საცურაო აუზს“ ზოგადი წინადადებით მიმართა სექსისტური წარწერის გამო. **მოპასუხეს სახალხო დამცველისათვის ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები არ უცნობებია.**

ამდენად, როგორც იკვეთება, საჯარო უწყებები თითქმის ყველა შემთხვევაში აცნობებენ სახალხო დამცველს რეკომენდაციისა და ზოგადი წინადადების განხილვის შედეგებს; უმრავლეს შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იზიარებენ და მზადყოფნას გამოთქვამენ მის შესასრულებლად ან ასრულებენ მას. რაც შეეხება კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ გაცემულ გადაწყვეტილებებს, საჯარო უწყებებთან შედარებით, მეტი შემთხვევაა, როდესაც სახალხო დამცველს საპასუხო ინფორმაციას არ უგზავნიან ან აცნობებენ, რომ რეკომენდაციას/ზოგად წინადადებას არ იზიარებენ. ასევე, არის არაერთი ფაქტი, როდესაც სახალხო დამცველის გადაწყვეტილება კერძო პირებმაც შეასრულეს.

თავი VI. დასკვნა

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში, დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა. თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომელიც, ერთი მხრივ, თანასწორობის უფლების დაცვის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, სასამართლოსა და სახალხო დამცველის სახით, უფლების აღდგენის მექანიზმს ითვალისწინებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების გაზიარების და შესრულების დადებითი ტენდენცია, რომელსაც, განსაკუთრებით საჯარო პირების მხრიდან ვხვდებით.

თუმცა, სამწუხაროდ, ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ხელისუფლებაც და საზოგადოებაც გამოწვევის წინაშე დგას. ერთი მხრივ, აუცილებელია, თანასწორუფლებიანობის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერება, მეორე მხრივ კი, თითოეული დაუცველი ჯგუფის ინტერესების გააზრება. იმის მიუხედავად, რომ დღეს საქართველოს კანონმდებლობით ფორმალურ დონეზე აკრძალულია დისკრიმინაცია ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერი დაცული ნიშნის საფუძველზე, ქვეყანაში არსებითი თანასწორობა გარანტირებული ჯერ კიდევ არ არის. ცალკეული ჯგუფები - ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები, რელიგიური უმცირესობის თუ ლგბტ თემის წარმომადგენლები, კვლავ ვერ სარგებლობენ მათ ინტერესებზე მორგებული გარემოთი. ასევე, ხარვეზები რჩება საკანონმდებლო დონეზეც. სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის ორიენტირებული დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის მიღწევაზე. ხელისუფლების აქტიური მონაწილეობის გარეშე კი, ასეთ მნიშვნელოვან პროცესში სახალხო დამცველის თუ არასამთავრობო სექტორის ძალისხმევას ხელშესახები შედეგი ვერ ექნება.